თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყონებლივ მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი,რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიცდაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან რაშიც ის იმყოფება.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის გათვალისწინებით. როდესაც ნარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული

ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფის არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს ჯგუფის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებსა ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში.

ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. ჯგუფს არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინასური სირთულეები;
- კონტრაქტორის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია ;
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო;

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა

განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეს ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა კონტროლი მოიპოვა აქტივებე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება ჯგუფში შემავალი კომპანიების წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობისხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ბალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება ხდება საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, ხელმძღვანელობა იყენებს განსაზღვრებებს იმის დადგენაში განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

4 .ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობება ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	მსუბუქი ავტომობილები	ელ.ძრავები, დიზელ ენერატორები,ელ გადამცემები	ინვენტარი, გათბობის სისტემები,ვიდეო კონტრ სისტემა	ტერიტორიის კეთილმოწყობა, მიმოსვლის გზები	სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	სპეციალური ინსტრუმენტები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მრავალწლიანი ნარგავები	აქტივი გამოყენების უფლებით	სულ
31 დეკემბერი 2019	**597,977**	**3,081,350**	**4,173,843**	**55,764**	**79,400**	**616,260**	**275,249**	**862,004**	**2,122,485**	**35,746**	**181,166**	**9,464**	**87,039**	**12,177,749**
შემოსვლა		85,878	90,953	16,311		19,604	24,243	3,420	6,616	6,362				**253,387**
გადაფასება														
გასვლა		1,718		4,399			2,167		4,875	1,684			87,039	**101,882**
31 დეკემბერი 2020	**597,977**	**3,165,511**	**4,264,797**	**67,676**	**79,400**	**635,864**	**297,325**	**865,424**	**2,124,227**	**40,423**	**181,166**	**9,464**		**12,329,254**
31 დეკემბერი 2019 დაგროვილი ცვეთა		**(903,773)**	**(2,323,113)**	**(25,675)**	**(38,972)**	**(161,067)**	**(164,172)**	**(384,192)**	**(1,068,710)**	**(17,225)**	**(19,677)**	**(7,271)**	**(1,451)**	**(5,115,297)**
პერიოდის ცვეთა		116,075	392,380	9,074	8,086	38,459	23,789	72,442	158,532	3,108	17,166	329		**839,439**
გასვლა		389		3,368			1,150		731	1,127			1,451	**8,215**
31 დეკემბერი 2020 დაგროვილი ცვეთა		**(1,019,459)**	**(2,715,493)**	**(31,380)**	**(47,057)**	**(199,525)**	**(186,812)**	**(456,635)**	**(1,226,511)**	**(19,206)**	**(36,842)**	**(7,600)**	**(1,451)**	**(5,946,521)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						-								
31 დეკემბერი 2019	**597,977**	**2,177,577**	**1,850,730**	**30,090**	**40,429**	**455,193**	**111,077**	**477,812**	**1,053,775**	**18,521**	**161,490**	**2,193**		**7,062,452**
31 დეკემბერი 2020	**597,977**	**2,146,051**	**1,549,304**	**36,295**	**32,343**	**436,339**	**110,514**	**408,790**	**897,716**	**21,217**	**144,324**	**1,864**		**6,382,733**

5. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2019	**9,000**	**43,795**	**88,023**	**140,818**
შემოსვლა		3,441	-	**3,441**
გადაფასება			-	**-**
გასვლა			-	**-**
31 დეკემბერი 2020	**9,000**	**47,236**	**88,023**	**144,259**
ცვეთა და გაუფასურება				
დაგროვილი ცვეთა	(7,751)	(13,683)	(64,728)	(86,162)
პერიოდის ცვეთა	(125)	(4,989)	(3,494)	(8,608)
გასვლა			-	-
31 დეკემბერი 2020	**(7,876)**	**(18,672)**	**(68,222)**	**(94,770)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2019	**1,249**	**30,112**	**23,295**	**54,657**
31 დეკემბერი 2020	**1,124**	**28,564**	**19,801**	**49,488**

6. საინვესტიციო ქონება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს შვილობილი საწარმოს შპს „აისბერგ ფოთის“ ფლობაში არსებული ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენებოდა ადმინისტრაციული მიზნებისათვის გადაეკვალიფიცირებინა საინვესტიციო ქონებად. აღნიშნულ ქონებას კერძოდ შენობებს შპს „აისბერგ ფოთი“ აქირავებს დამატებითი შემოსავალების მიღების მიზნით.

7. გაცემული სესხები

ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაცემული სესხები შეადგენს მშობელი საწარმოს შპს ბ & ჯ -ის მიერ გაცემულ სესხებს რეზიდენტ საწარმოებზე 2019 წელს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აღარ ერიცხება მოთხოვნა გაცემული სესხებიდან.

8. მარაგები

- სასაქონლო–მატერიალური მარაგები	31.12.2020	31.12.2019
საქონელი	3 190 423	1 108 390
ნედლეული მასალა	175 685	79 476
დაუმთავრებელი წარმოება	-	1 968
შუალედური ანგარიში	-	435 856
მზა პროდუქცია	1 181	10 477
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	15 083	170 917,00
სულ სასაქონლო–მატერიალური მარაგები	**3 382 372**	**1 807 085**

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
დებიტორები	2 385 450	1 876 300
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31 988	64 966
წინასწარ გაწეული ხარჯი		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10 352	
საგადასახადო აქტივი	154 560	41 651
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	**2 582 350**	**1 982 917**

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	51 175	57 304
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (აშშ დოლარი)	738 042	2 201 640
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ევრო)	58	518
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	34 538	13 741
ნაღდი ფული სალაროში (აშშ დოლარი)	3 842	90 359
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**827 655**	**2 363 563**

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	3 069 781	1 969 282
მიღებული ავანსები	400	454
გადასახდელი ხელფასი	17 285	
ვალდებულებები საბაჟოს წინაშე	580	555
ვალდებულება ანგ. ვალდებულ პირის მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		66 919
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**3 088 046**	**2 037 210**

12. საოპერაციო შემოსავლები

საქმიანობიდან გამომდინარე ჯგუფს აქვს როგორც დაუბეგრავი, ასევე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები. დაუბეგრავი ბრუნვა მოიცავს საქონლის რეექსპორტს და ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა - ტვირთების სატერმინალო მომსახურება, გადმოტვირთვა - ჩატვირთვა; საბაჟო საწყობში ტვირთების შენახვა-დაზღვევა გაფორმება და ა. შ. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გაერთიანებულია როგორც საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ასევე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალები, როგორიცაა იჯარა, საწყობში დატვირთვის სამუშაოები, ტვირთების შენახვიდან მიღებული შემოსავალი, საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და სხვა.

საოპერაციო შემოსავლები	**2020**	**2019**
შემოსავალი რეალიზაციიდან	26 102 374	21 072 765
იჯარა	445 741	23 400
სულ საოპერაციო შემოსავლები	**26 548 115**	**21 096 165**

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2020**	**2019**
შრომის ანაზღაურება	1 770 333	2 748 953
სანოტარო საჯარო რეესტრის მომსახურება		275
დასუფთავების მოსაკრებელი	6 556	5 929
სოციალური დანარიცხები	33 184	28 617
საიჯარო ქირა	133 612	123 930
საკანცელარიო ხარჯები	15 127	10 393
კომპიუტერის ხარჯები	4 686	35 098
კომუნიკაციის ხარჯები	59 986	30 315
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	46 712	32 214
საწვავის ხარჯები	16 072	18 369
ელექტრო ენერგია და გაზი	19 995	440 773
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	64 666	48 884
ცვეთა და ამორტიზაცია	848 294	974 902
დაზღვევა	214	1 370
საგადასახადო ხარჯები	182 806	147 472
საბანკო ხარჯები	14 026	20 807
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	149 310	111 090
წარმომადგენლობითი ხარჯი	5 970	200
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	3 484 091	3 964 835
საქველმოქმედო ხარჯი	133 777	157 848
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	719	12 372
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**6 990 136**	**8 914 646**

14. ფინანსურიშემოსავალი/ (ხარჯები)

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	**2020**	**2019**
საპროცენტო შემოსავლები	37 889	76 528
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		7 119
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	**37 889**	**83 647**
არასაოპერაციო ხარჯები/საპროცენტო ხარჯი	(137 150)	(52 576)
სულ ფინანსური ხარჯები	**(99 261)**	**31 071**

15. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი პირები საქართველოში. მოგების გადასახადით დაბეგვრას აღარ ექვემდებარება კომპანიის მიერ წლის განმავლობაში მიღებული მოგება.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, შესაბამისი პერიოდისთვის დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. დარიცხული მოგების გადასახადი წარმოადგენს ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდის მოგების გადასახადს.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;

(დ)საზოგადოების, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

დაკავშირებული მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს კავშირის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასებს 2020 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	**287 309**
დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდები	**7 836 776**
	8 124 085

17. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომიმოვლენები

ა) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

• შეიცვალა კომპანიის (შპს „ბ & ჯ“) დამფუძნებლები და კომპანიის წილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ლევან კაჭარავა - 21,5%; გიორგი კაჭარავა - 7%; ლევან ლაფანაშვილი - 21,5%; ლევან ჭიორელი - 21,5%;

გიორგი ჟორდანია - 28,5%.

• შპს „ბ & ჯ“ გახდა შპს „ამერიკან მონოლითის“ 70 პროცენტიანი წილის მფლობელი;.

. შეიცვალა შპს „აისბერგ ფოთის“ დირექტორი, ირაკლი ცეკვაშვილის ნაცვლად დაინიშნა გიორგი კაჭარავა.

• ჯგუფის მიერ მიღებული სესხების მოცულობა გაიზარდა 15 395 500 ლარით.

• ჯგუფის მიერ გაცემულია დივიდენდი 1 135 090 ლარის ოდენობით.

გ) საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის № 1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, აღნიშნული დეკრეტის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“-ს შესახებ, აღნიშნულმა დადგენილებამ არ შეუზღუდა ჯგუფის ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, თუმცა აღნიშნული დადგენილების სხვა შეზღუდვებმა და მსოფლიოს იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებთანაც საქართველოს აქვთ ურთიერთობა, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააკეთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ჯგუფის შედეგებზე, თუმცა ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ აღნიშნულ რეგულაციებში ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

შ.პ.ს. “ბ &ჯ”
საქართველო,
თბილისი
თევდორე მღვდლის
ქ. №27 ს/კ:
202218803

“B & G” LTD
27 Tevdore Mgvdeli st.
Tbilisi, Georgia
ID: 202218803

შპს “ბ & ჯ“

2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საქართველო, ქ. თბილისი
2021

საქმიანობის მიმოხილვა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს ჯგუფთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს ჯგუფის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს ,,ბ & ჯ“-ს კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ ჯგუფის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ ჯგუფში შემავალ კომპანიებში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. ჯგუფის შესახებ

ჯგუფის სტრუქტურა შემდეგნაირია:

შპს „ბ & ჯ“-ს(202218803) - მშობელი საწარმო

შპს “აისბერგ ფოთი” (404879985) შვილობილი საწარმო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბ & ჯ“, ს/კ 202218803, დარეგისტრირებულია საქართველოში, 2004 წლის 6 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.27, ხოლო ძირითადი საქმიანობის ადგილი - საქართველო, თბილისი, ტატიშვილის ქ.#13.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: თამბაქოს პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელი არის ლევან კაჭარავა, 100%-იანი წილის მფლობელი. საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 2000 ლარს, შპს-ს აღმასრულებელიდირექტორია კონსტანტინე მანაგაძე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აისბერგ ფოთი" (404879985) დარეგისტრირებულია საქართველოში, 2010 წლის 28 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: - ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. #7.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამაცივრე სასაწყობო მეურნეობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "აისბერგ ფოთის" 60% წილის

მფლობელია შპს „ბ & ჯ" ს/კ 202218803,

40% წილის მფლობელი ფ/პ იგორ მარტინოვი (ყაზახეთი),

დირექტორია ირაკლი ცეკვაშვილი

4. ჯგუფის საქმიანობა

ჯგუფში შემავალი კომპანიები ახორციელებენ განსხვავებულ სამეწარმეო საქმიანობას.

შპს „ბ & ჯ" საქმიანობას თავიდანვე თამბაქოს პროდუქტით, კერძოდ ფილტრიანი სიგარეტით ვაჭრობა წარმოადგენდა, 2011 წლამდე ახორციელებდა დისტრიბუციასაც, 2011 წლიდან კი სიგარეტის იმპორტს და საბითუმო ვაჭრობას. 2014 წლიდან კომპანიამ დაამატა სიგარელების იმპორტი და საბითუმო ვაჭრობა, 2018 წლიდან ჩვენს ასორტიმენტს დაემატა საღეჭი თამბაქო, რომელსაც როგორც ვყიდით ბითუმად, ასევე ვახდენთ მის ექსპორტს. 2019 წლიდან კომპანიის საქმიანობას დაემატა თუთუნის წარმოება, კერძოდ ვახდენთ თამბაქოს ფოთლის დამუშავებას, შეფუთვას და რეალიზაციას. ამავე წელს ჩვენი კომპანიის ასორტიმენტს დაემატა პაპიროსის ქაღალდების და სანთებელების იმპორტი და საბითუმო გაყიდვა.

შპს „ბ & ჯ" გამოირჩევა პროდუქციის ასორტიმენტით, მისი ხარისხით და საქმიანობის განვითარებით.

შპს „აისბერგ ფოთის" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამაცივრე სასაწყობო მეურნეობა. ტვირთები კონტეინერში შემოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან ფოთის ნავსადგურში, მას შემდეგ გადმოგვაქვს ჩვენს საწყობში შენახვაზე, მოთხოვნის მიხედვით ტვირთმფლობელისგან ვაგზავნით დანიშნულების ადგილზე. ძირითადი მიმართულებებია შუა აზიის ქვეყნები (ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი).

კომპანია ორიენტირებულია გაფართოებზე. ბოლო პერიოდში აშენდა ახალი საკონტეინერო ტერმინალი, რაც უზრუნველყოფს ტვირთმფლობელებზე სწრაფ და ოპერატიულ მომსახურეობას.

2020 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 145-ამდე ადამიანი.

5. შიდა სტრუქტურა

ჯგუფში შემავალ კომპანიებში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები.

მშობელი საწარმოს, შპს „ბ & ჯ“-ის სტრუქტურა:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია:

ლევან კაჭარავა

კომპანიას უშუალოდ მართავს აღმასრ. დირექტორი - კონსტანტინე მანაგაძე

მთავარი ბუღალტერი: ნინო მჭედლიშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო ხუციშვილი

ლოჯისტიკური სამსახური: გიორგი ბეროშვილი

საწყობის უფროსი: ჯონი ქველიძე

წარმოდგენილი გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. დღეისათვის კომპანიაში 14 ადამიანია დასაქმებული.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი საწარმოს, შპს „აისბერგ ფოთის“ სტრუქტურა:

კომპანიის 60% წილის მფლობელია შპს „ბ & ჯ“ ს/კ 202218803,

40% წილის მფლობელი ფ/პ იგორ მარტინოვი (ყაზახეთი),

დირექტორი: ირაკლი ცეკვაშვილი

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში - ალექსანდრე ზაკალაშვილი

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში- ლევანი ლაფანაშვილი

ლოჯისტიკური სამსახური: გიორგი კაჭარავა

მარკეტინგის მენეჯერი - კონსტანტინე ხომერიკი

მთავარი ბუღალტერი: მაკა ჯიქია

ფინანსური მენეჯერი: მაია კოხტაშვილი

საწყობის უფროსი: თოდუა ჯამბული

წარმოდგენილი გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. დღეისათვის კომპანიაში 145 ადამიანია დასაქმებული.

6. სამომავლო გეგმები

ჯგუფი მომავალშიც გეგმავს განავითაროს თავისი საქმიანობა, ბაზრის შესწავლისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სწორად დაგეგმოს და გაზარდოს თავისი პროდუქციის ასორტიმენტი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი ჰქონდაშემდეგ მოვლენებს:

• შეიცვალა კომპანიის (შპს „ბ & ჯ“) დამფუძნებლები და კომპანიის წილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ლევან კაჭარავა - 21,5%; გიორგი კაჭარავა - 7%; ლევან ლაფანაშვილი - 21,5%; ლევან ჭიორელი - 21,5%;

გიორგი ჟორდანია - 28,5%.

• შპს „ბ & ჯ“ გახდა შპს „ამერიკან მონოლითის“ 70 პროცენტიანი წილის მფლობელი;.

. შეიცვალა შპს „აისბერგ ფოთის“ დირექტორი, ირაკლი ცეკვაშვილის ნაცვლად დაინიშნა გიორგი კაჭარავა.

7. რისკ-ფაქტორები

ჯგუფის მთავარი რისკი არასტაბილური სავალუტო კურსია.

8. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალური მოვლენებმა გავლენა მოახდინა ყველა ინდუსტრიაზე, თუმც ეს გავლენა ზოგიერთი კომპანიისთვის არის დადებითი, როგორიცაა მაგალითისთვის ტექნოლოგიურ რესურსებთან დაკავშირებული კომპანიები, რადგან მათზე მოთხოვნამ იმატა დისტანციური მუშაობის გამართულად და შეუფერხელბლად მუშაობის უზრუნველყოფის გამო, ასევე სუპერმაკეტები და სხვა სასურსათო მაღაზიები.

ჩვენი კომპანიების საქმიანობაზე, გარდა იმისა რომ ძირითადად ვართ დისტანციურ მუშაობაზე გადასული, სხვა უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, სამუშაოები ძველებურად შეუფერხებლად მიმდინარეობს, ყველამ ზუსტად იცის თავისის მოვალეობა და წარმატებულად ახორციელებს მის შესრულებას.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ყველა კომპანიისთვის არის სავალუტო რისკი, რომლის პროგნოზირება ძალიან რთულია და კიდევ უფრო ართულებს საქმეს ისეთი კომპანიებისთვის, როგორიც ჩვენი კომპანიებია, რადგან უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებული პროდუქტის და მომსახურების დაახლოებითი წილი საქმიანობის განსახორციელებლად შეადგენს 90%-ს, რაც შესაბამისად აძვირებს ჩვენს პროდუქციას და მომსახურებას.

არსებულმა სიტუაციამ დადებითი გავლენაც მოხდიანა ჯგუფის საქმიანობაზე და საშუალება მოგვცა დაგვენახა, რომ ახალი ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით შესაძლებელია ჯგუფში შემავალი

კომპანიების ეფექტური მუშაობა და ნაწილი თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმში გადაყვანა, რომელზეც ადრეც გვიფიქრია, თუმც არაეფექტურად მუშაობის და კონტროლის რისკს ვხედავდით. დღეს პანდემიის რისკის მიუხედავად, ბევრი თანამშრომელი დატოვა შპს ბ & ჯ -იმ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რითაც კომპანია შეამცირებს ოფისის ხარჯებს, ხოლო თანამშრომლებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ ერთზე მეტი სამუშაო ადგილი სახლიდან გაუსვლელად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფის მენეჯმენტი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფში შემავალი კომპანიები მიმართავენ კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის. ჯგუფი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია მშობელი საწარმოს შპს “ბ & ჯ”-ს მართვაზე უფლებამოსილი პირი - აღმასრულებელი დირექტორი.

შპს “ბ & ჯ”-ს

აღმასრ. დირექტორი: კონსტანტინე მანაგაძე

კომპანიების ეფექტური მუშაობა და ნაწილი თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმში გადაყვანა, რომელზეც ადრეც გვიფიქრია, თუმც არაეფექტურად მუშაობის და კონტროლის რისკს ვხედავდით. დღეს პანდემიის რისკის მიუხედავად, ბევრი თანამშრომელი დატოვა შპს ბ & ჯ -იმ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რითაც კომპანია შეამცირებს ოფისის ხარჯებს, ხოლო თანამშრომლებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ ერთზე მეტი სამუშაო ადგილი სახლიდან გაუსვლელად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფის მენეჯმენტი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფში შემავალი კომპანიები მიმართავენ კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის. ჯგუფი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია მშობელი საწარმოს შპს "ბ & ჯ"-ს მართვაზე უფლებამოსილი პირი - აღმასრულებელი დირექტორი.

შპს "ბ & ჯ"-ს

აღმასრ. დირექტორი: კონსტანტინე მანაგაძე